

ტანას ხეობის გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური
ცვლილება, კლიმატური და ანთროპოგენური ფაქტორების
გავლენით

მიხეილ ლობჯანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მიხეილ ელაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მიხეილ ლობჯანიძე

20.06.2022

აბსტრაქტი

საქართველოში, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში ყოველდღიურად უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება სხვადასხვა შინაარსის მონაცემების მიღებისა და დამუშავების გზების ძიება-აღმოჩენა. გეოსაინფორმაციო სისტემები წარმოადგენს უსწრაფეს საშუალებას, რაც გვეხმარება სივრცული ანალიზის საფუძველზე მოვახდინოთ მონაცემების შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და საზოგადოებისათვის მისაღები და აღქმადი ფორმებით პრეზენტაცია.

კვლევის მიზანია, დაადგინოს ატენის ხეობაში მიმდინარე ანთროპოგენული ფაქტორებით გამოწვეული გეომორფოლოგიური და ლანდშაფტური ცვლილებების მასშტაბები და შეისწავლოს ის დინამიკაში 1950-ანი წლებიდან დღემდე, რათა მარტივად მოხდეს ამ ცვლილებებით გამოწვეული პრობლემური საკითხების წინ წამოწევა და მათი გადაჭრის დროული და ეფექტური გზების მოძიება.

ნაშრომზე მუშაობისას მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, საზოგადოების ინფორმირება ტექნოლოგიური პროგრესის ტემპების გააზრებისა და მისთვის ფეხის აწყობის აუცილებლობის შესახებ.

ნაშრომში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემები, ატენის ხეობის ბუნებრივი კატასტროფების რისკის შეფასებასთან დაკავშირებით, რაც დაგვეხმარა ობიექტურად განგვეხილა ხეობაში არსებული სიტუაცია. ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, რის შედეგადაც შეგვიძლია შევადაროთ წინა საუკუნის, როგორც მოსახლეობის რაოდენობა დღევანდელს, ასევე არსებული და მიტოვებული სოფლების რაოდენობები და მათი დინამიკაში ცვლილება. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა გეოსაინფორმაციო სისტემების (GIS) სხვადასხვა ხელსაწყოები მონაცემების დამუშავებისა და საილუსტრაციო რუკების მოსამზადებლად.

Abstract

In Georgia, as well as in the rest of the world, the search and discovery of ways to receive and process data of various contents is becoming more and more important every day. Geoinformation systems are the fastest means that help us collect, process, analyze and present data in forms acceptable and perceptible to the public based on spatial analysis.

The purpose of the study is to determine the extent of geomorphological and landscape changes caused by anthropogenic factors in the Ateni valley and to study it in dynamics from the 1950s to the present day, in order to easily bring forward the problematic issues caused by these changes and find timely and effective ways to solve them.

While working on the paper, the main task was to inform the public about the need to understand the pace of technological progress and prepare for it.

The paper uses the data of the National Environment Agency regarding the assessment of the risk of natural disasters in the Ateni valley, which helped us to objectively discuss the situation in the valley. Also, the information provided by the National Statistical Service of Georgia, about the number of the population of Georgia, according to administrative-territorial units, as a result of which we can compare the population of the previous century with today's, as well as the number of existing and abandoned villages and the change in their dynamics. While working on the paper, various tools of geoinformation systems (GIS) were used for data processing and preparation of illustrative maps.